ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7417775

ნომერი: AR11076704

თარიღი : 06.02.2025

გაცემის თარიღი : 19.03.2025

გაცნობის თარიღი : 24.03.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზაზა ალექსიძის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ტყემალაძე პ/ნ 54001024223
- ჭიათურა პ.იაშვილის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ № 7408536 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ: შუალედური გადაწყვეტილების თანახმად წარმოსადგენი იყო "ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად მომზადებული საექსპერტო დასკვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ საპროექტო სამუშაოების განხორციელების შედეგად არ ხდება შეუსაბამობის ხარისხის ზრდა; დასკვნაში ასევე განხილული უნდა ყოფილიყო 1022 და 1009 ქვეთავთან შესაბამისობა. თქვენ მიერ წარმოდგენილ დასკვნაში არ არის განხილული 1022 და 1009 ქვეთავთან შესაბამისობა. ასევე, ტექსტში მითითებულია, რომ „წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლის +36.90 ნიშნულზე, კიბის უჯრედში არსებული კარის გაუქმებასა და იგივე კედელზე ახალი კარის ღიობის მოწყობას." საპროექტო სამუშაოებით კი არ ხდება ღიობის გაუქმება, არამედ მოთხოვნილია კარის ღიობის მოწყობა, რომელიც გადის კიბის უჯრედში.
ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ შუალედური გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები, ზემოაღნიშნულის და № 7408536 გადაწყვეტილების შესაბამისად AR11076704 განაცხადი დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.